სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/08

11 თებერვალი 2021 წ.

ქ. თბილისი

"ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულის" და „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ის რექტორის მოადგილის, ზურაბ გასიტაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 თებერვლის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება საქართველოს "ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულისა" და „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში სწავლული მდივნის, ბატონი ივანე გორგიძისა და საბჭოს წევრის, ბატონი რევაზ სტურუას გარდაცვალების გამო;
2. ჟურნალების - "ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულისა" და „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სწავლულ მდივნად დაინიშნოს პროფესორი დავით გორგიძე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**